ივნისი 2022

Funded by the European Union

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი

ექსპერტთა კომენტარი

გამოცემა #21

საქართველო-უკრაინის ურთიერთობები ომის დროს: რა უნდა გაკეთდეს ორ სტრატეგიულ პარტნიორს შორის ურთიერთობების გადატვირთვისთვის?

წლების განმავლობაში, წარუმატებლობასა და გასაჭირში საქართველო და უკრაინა მოძმე ერები იყვნენ. თბილისსა და კიევს შორის მეგობრული და სტრატეგიული ურთიერთობების ტრადიციის გათვალისწინებით ქართველები რუსეთის აგრესიას უკრაინის წინააღმდეგ შეშფოთებით ადევნებენ თვალს და უკრაინის ბრძოლას სუვერენიტეტისთვის საკუთარ ბედს ამსგავსებენ. თუმცა, ამ განწყობების მიუხედავად, საქართველოს ურთიერთობები მის სტრატეგიულ პარტნიორთან შესამჩნევად დაიძაბა, რაც მხოლოდ კრემლს აძლევს ხელს. რუსეთის შეჭრის დღიდან საქართველოს მთავრობას დამსახურებულად აკრიტიკებენ ქვეყნის შიგნით და გარეთ, მათ შორის, უკრაინაც, არათანმიმდევრული მხარდაჭერისა და წინააღმდეგობრივი პოზიციის გამო. ამას გარდა, ქართული და უკრაინული პოლიტიკური ელიტები მიმართავენ კონფრონტაციულ რიტორიკასა და ურთიერთბრალდების სტრატეგიას.

2022 წლის 16 აპრილს საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის უკრაინული ვიზიტის შემდეგ გაჩნდა მოლოდინი, რომ „გაუგებრობები“ ორ სტრატეგიულ პარტნიორს შორის მოგვარდებოდა. თუმცა, ეს არ მოხდა და დაძაბულობა ორ ქვეყანას შორის გრძელდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, **საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP)** მოწვევით **უკრაინელმა, კანადელმა და ქართველმა** ექსპერტებმა უპასუხეს შემდეგ ორ კითხვას:

1. *რა უშლის ხელს საქართველოსა და უკრაინას შორის სტრატეგიული ურთიერთობების წარმართვას უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე?*
2. *რა უნდა გაკეთდეს თბილისსა და კიევს შორის ბოლო დროს განსაკუთრებით გაციებული ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის?*

ჰანა შელესტი,

PhD, *უსაფრთხოების პროგრამების დირექტორი, საგარეო პოლიტიკის საბჭო „უკრაინული პრიზმა“*

ბოლო სამი წლის განმავლობაში უკრაინულ-ქართულ ურთიერთობებში არსებობდა წინსვლაც და პრობლემებიც, რომლებიც გამოწვეული იყო ორივე ქვეყნის საშინაო საკითხებით, როგორებიცაა: საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პერსონა და სხვადასხვა პოლიტიკოსების პროვოკაციული განცხადებები.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრის დღიდან ორ ქვეყანას შორის 2019 წელს დამყარებული სტრატეგიული ურთიერთობები არ აღმოჩნდა სიცოცხლისუნარიანი. უკრაინის მიმართ, ფაქტობრივად, ორი დონის ჩართულობა გამოიხატა. ქართული საზოგადოების მხრიდან დაფიქსირდა სრული მხარდაჭერა, რაც დასაფასებელია. ამავდროულად, გამოჩნდა ქართული პოლიტიკური ელიტის ორაზროვანი პოზიცია. რომ გავიხსენოთ 2008 წელი, როდესაც ომის დროს თბილისს ხუთი პრეზიდენტი ეწვია, და ასევე, დამატებითი მხარდაჭერა უკრაინის მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, ოფიციალური კიევი თბილისისგანაც იმავე დონის მხარდაჭერას ელოდა. ორმხრივ ურთიერთობებს ძირს უთხრის გაუგებარი განცხადებები და გადაწყვეტილებები ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა: სანქციები, საზღვრების გახსნა იმ რუსებისთვის, რომლებიც სანქციებისათვის თავის არიდებას ცდილობენ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან უკრაინაში ვიზიტის შეთავაზების თავდაპირველი უარი და სხვ. ამავდროულად, საქართველო არ ესწრებოდა რამშტაინის სამხედრო ბაზაზე გამართულ შეხვედრას. ევროკავშირის წევრობის აპლიკაციის სწრაფად შეტანაც კი უკრაინაში აღქმულია, როგორც უკრაინის შექმნილი კარგი მომენტის გამოყენების მცდელობა.

აგრესიის დაგმობა არ არის საკმარისი საქართველო-უკრაინის ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის. ამჟამინდელი მდგომარეობა შორსაა სტრატეგიული პარტნიორობისგან, რასაც ორი ქვეყანა ესწრაფოდა. ეს ეგზისტენციალური ომი უკრაინელ თანამდებობის პირებს თუ მოსახლეობას უფრო ემოციურს ხდის, და პარტნიორების მოქმედებებიც განიხილება თეთრ და შავ ფერებში, ნაცრისფერი ზონების მიღმა. თუ საქართველო ისურვებს, რომ აღადგინოს თავისი სტრატეგიული პარტნიორობა უკრაინასთან და სერიოზულად განიხილავს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციას, ერთ დღეს მას დასჭირდება მეტად მტკიცე გადაწყვეტილებების მიღება. ამჟამინდელი პოზიცია, რომ უკრაინასთან ურთიერთობები ძველ კალაპოტში ჩადგეს და, ამავდროულად, შენარჩუნდეს დიალოგი რუსეთთან, არ იქნება მისაღები. მნიშვნელოვანია ის, რომ სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, ქართველი საზოგადოება მხარს უჭერს უფრო ძლიერ პოზიციას ამ ომში. მინიმუმ სიმბოლური სანქციები და რუს ოლიგარქებთან კავშირის გაწყვეტა იქნებოდა კარგი დასაწყისი.

სესერგი გერასიმჩუკი,

PhD, სტრატეგიული და უსაფრთხოების კვლევების ჯგუფის გამგეობის წევრი, საგარეო პოლიტიკის საბჭო „უკრაინული პრიზმის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე, ინიციატივის „იფიქრე ორჯერ, უკრაინა“ მრჩეველი

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებმაც შეაფერხა ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის. ერთ-ერთი არის [საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის] მიხეილ სააკაშვილის საქმე. უკრაინის გადაწყვეტილებამ, მოეწვია სააკაშვილი უკრაინაში და დაენიშნა ოდესის ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად (2015-2016) პოროშენკოს პრეზიდენტობის დროს, ასევე, მისმა დაბრუნებამ პრეზიდენტ ზელენსკის მიწვევით 2019 წელს დააზიანა ორმხრივი ურთიერთობები. საქართველოში ყოფილი პრეზიდენტის და უკრაინის მოქალაქის დაპატიმრებამ, ასევე პოლიტიკურმა გავლენამ სასამართლო პროცედურების დროს 2021 წელს კიდევ უფრო გააუარესა მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტორი არ იყო გადამწყვეტი, ის მნიშვნელოვანია სიმბოლურად მაინც. რაც გაცილებით მნიშვნელოვანია, არის საქართველოს დამოკიდებულება რუსული ომის მიმართ უკრაინის წინააღმდეგ. ურთიერთობების კიდევ უფრო გაუარესება გამოიწვია უკრაინის მხარდაჭერის სავარაუდო შეზღუდვებმა რუსეთის წინააღმდეგ ომში და საქართველოს მთავრობის მცდელობამ, დახმარებოდა რუსეთს დასავლური სანქციების შედეგებისთვის თავის არიდებაში, რასაც მოჰყვა უკრაინის ელჩის გაწვევაც, მაშინ როცა საქართველოს განაცხადი ევროკავშირის კანდიდატობაზე უკრაინის იმავე ნაბიჯის შედეგად განხორციელდა (რაც გადაწყვეტილების მიმღები ბევრი უკრაინელის მიერ შეფასებულია, როგორც „უბილეთოდ მგზავრობა“ (Free-riding).

მნიშვნელოვანი ცვლილებებია საჭირო რუსეთის მიმართ საქართველოს არგაღიზიანების პოლიტიკაში, რათა უკრაინა-საქართველოს ურთიერთობები გაუმჯობესდეს. ეს შესაძლებელია რომელიმე ამ ქვეყანაში რეჟიმის ცვლილებით, რაც ამ ეტაპზე მოსალოდნელი არ არის. კიდევ ერთი რამ, რაც ხელს შეუწყობს ურთიერთობების გაუმჯობესებას, შეიძლება იყოს ევროპული წნეხი ასოცირებული ტრიოს ქვეყნებს შორის კავშირების გასაძლიერებლად. თუმცა, ამჟამად ესეც ნაკლებად მოსალოდნელია. შესაბამისად, ერთადერთი ქმედითი ფაქტორი ორი ქვეყნის ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის არის სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა რეფორმების დაჩქარებისათვის.

ტარას კუზიო,

PhD, ჰენრი ჯექსონის საზოგადოების მკვლევარი და კიევო-მოჰილას აკადემიის ნაციონალური უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების პროფესორი

ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის საქართველო ყოველთვის ერთ-ერთი ახლობელი ქვეყანა იყო უკრაინელებისთვის. განსაკუთრებით, აქტიური სამოქალაქო საზოგადოებისათვის, ევროპასთან ინტეგრაციის მხარდამჭერი ექსპერტებისა და პროდასავლური პოლიტიკური პარტიებისათვის. ქართული პოლიტიკა უკრაინულ პოლიტიკასთან დაკავშირებულია ვარდების რევოლუციის შემდეგ, რომელიც ნარინჯისფერ რევოლუციამდე რამდენიმე თვით ადრე მოხდა. ქართველები, ამავდროულად, ევრომაიდნის ღირსების რევოლუციის გამოკვეთილი მხარდამჭერები იყვნენ. ყველაზე დიდი საერთაშორისო სამხედრო ერთეული რუს დამპყრობელთან მებრძოლ უკრაინის საერთაშორისო ლეგიონში არის ქართული ეროვნული ლეგიონი (GNL), რომლის მოხალისეებიც ჯერ კიდევ 2014 წლიდან იბრძვიან. საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი, ირაკლი ოქრუაშვილი სწორედ ამ ლეგიონშია მოხალისე. ქართულ-უკრაინული ურთიერთობების ამგვარი დადებითი გამოცდილების ფონზე, სამწუხაროა, რომ ეს ურთიერთობები უარესდება. ამის სამი მიზეზი არსებობს.

პირველ რიგში, უკრაინელები, სხვა სამხრეთკავკასიურ ქვეყნებთან შედარებით, საქართველოსგან ბევრად მეტს ელოდნენ. სამიდან არცერთი არ შეუერთდა რუსეთის უკრაინაში შეჭრის საპასუხო სანქციებს. აზერბაიჯანი, ფაქტობრივად, უკრაინას ყველაზე დიდ დახმარებას უწევს (საწვავი, სასწრაფო და სამედიცინო დახმარება), ხოლო პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ყველაზე მკაცრ ტონს იყენებს, როდესაც საუბრობს ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უფლებების შესახებ. მეორე მიზეზია ის სასოწარკვეთილება, რომელიც საქართველოში არსებობს დასავლეთის არასაკმარისი მხარდაჭერის გამო 2008 წლის შეჭრის დღიდან. ქართველებს აქვთ უფლება, განაწყენებული იყვნენ დასავლეთზე, რომელმაც მაშინ არავითარი სანქციები არ დააწესა რუსეთის წინააღმდეგ. უკრაინელებს ჰქონდათ იგივე უფლება, რადგან სანქციები, რომლებიც დაწესდა 2014 წელს, ყირიმის ოკუპაციისა და რუსეთის უკრაინის აღმოსავლეთში შეჭრის საპასუხოდ, პათეტიკური იყო. ამ იმედგაცრუებამ ქართველები დაყო „პრაგმატიკოსებად“, რომლებიც ახლა ხელისუფლებაში არიან და არ სურთ, უკრაინის სრული მხარდაჭერით „რუსული დათვი“ გააღიზიანონ, და „რომანტიკოსებად“, რომლებსაც სჯერათ, რომ საქართველო სწორედ ასე უნდა მოიქცეს. მესამე მიზეზი არის ის, რომ დღეს ძალაუფლების მქონე „პრაგმატიკოსები“ არიან გაბრაზებულები, რადგან ხედავენ სააკაშვილის დიდ გავლენას უკრაინაში. მიხეილ სააკაშვილი დაუპირისპირდა ყოფილ პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს და, შესაბამისად, არ იყო გასაკვირი, რომ პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი მიესალმა სააკაშვილის ხალხს თავის გუნდში. თუმცა, ზელენსკიმ ეს გააკეთა შიდაპოლიტიკური

მიზეზების გამო და არა იმიტომ, რომ საქართველოს მოწინააღმდეგე და საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილი პოლიტიკოსია.

ივანნა მაჩიტიძე,

PhD, დიპლომატიისა და პოლიტიკის სკოლის ასოცირებული პროფესორი და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში

ფაქტორებს შორის, რომლებიც აზიანებს საქართველო-უკრაინის სტრატეგიულ ურთიერთობებს რუსეთის ომის დროს, გამოვყოფდი სამ საკითხს: *უკრაინასა და საქართველოს შორის ეფექტიანი დიალოგის ნაკლებობა:* საქართველოსა და უკრაინის სტრატეგიული პარტნიორობა ზიანდება თითოეული საკვანძო მიმართულებით, კერძოდ, ვაჭრობა, უსაფრთხოება და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. და ეს ხდება იმის გამო, რომ საქართველო საერთაშორისო სანქციებს არ შეუერთდა. ასევე, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესისა და პროოპოზიციური არხის „მთავარის“ დირექტორის, ნიკა გვარამიას დაპატიმრების გამო, რომელიც სააკაშვილის ერთ-ერთი ადვოკატია. კიევში ეს ქმედებები აღიქმება, როგორც ღიად არამეგობრული ჟესტი. უკრაინის ხედვით, ორმხრივი ურთიერთობები ვერ გაუმჯობესდება, თუ თბილისი არ შეცვლის პოზიციას ზემოთ ხსენებულ საკითხებზე. კონსტრუქციული დიალოგის არარსებობის ფონზე, რაც კიდევ უფრო გამძაფრებულია ორმხრივი ბრალდებებით, ორმხრივი ურთიერთობები, როგორც ჩანს, გაუარესების ისტორიულ ქვედა ნიშნულს მიაღწევს.

აღნიშნული ფაქტორი დაკავშირებულია *რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზაციის პოლიტიკასთან.* მოკლედ რომ ითქვას, საქართველოს ნორმალიზაციის პოლიტიკამ ვერ მიაღწია მიზანს, პირიქით, ამან მხოლოდ შეუმცირა საქართველოს რუსეთის საპირისპიროდ მანევრირებისა და მის წინააღმდეგ სანქციების შეერთების შესაძლებლობები. მესამე საკითხი შეეხება *დასავლეთის სტრატეგიულ მხარდაჭერას საქართველოსთვის.* დასავლეთმა, კონკრეტულად კი, აშშ-მ და ევროკავშირმა არ უნდა გაიმეორონ ისეთივე შეცდომები, როგორიც 2008 წელს, როცა ვერ შეაფასეს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები. თბილისში გრძნობენ დასავლეთის ძლიერი მხარდაჭერის ნაკლებობას, რაც იქნებოდა იმ დახმარების გარანტი, რითაც საქართველო შეძლებს, დაძლიოს რუსეთზე დამოკიდებულება.

ორმხრივ ურთიერთობებს შემდეგი ნაბიჯები გააუმჯობესებს: 1) საქართველოს მთავრობამ მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს, რომ მხარს უჭერს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობასა და რუსეთის უსამართლო აგრესიის წინააღმდეგ მის ბრძოლას. თბილისი უნდა შეუერთდეს საერთაშორისო სანქციებს. საქართველოს პრეზიდენტი, პრემიერ მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე ოფიციალურად

უნდა ეწვივნენ კიევს დაზიანებული პარტნიორობის აღდგენის მიზნით. კიევმა, თავის მხრივ, უნდა გამოხატოს მზაობა ახალი დასაწყისისთვის. 2) საქართველო ვერ შეძლებს, შეუერთდეს რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს დასავლური მხარდაჭერის გარანტიების გარეშე. ამჟამად დასავლეთისთვის სწორედ ის დრო დგას, როდესაც უნდა დაუპირისპირდეს რუსულ ჰეგემონიას სამხრეთ კავკასიაში და გარდაქმნას შავი ზღვის რეგიონი თანამშრომლობის მშვიდობიან არეალად და არა — კონფრონტაციის ტერიტორიად.

Funded by the European Union

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

GIP
საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით BST-თან თანამშრომლობით. მის შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრება ავტორებს და ის შესაძელებელია არ ასახავდეს ევროკავშირისა და საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

„საქართველო-უკრაინის ურთიერთობები ომის დროს: რა უნდა გაკეთდეს ორ სტრატეგიულ პარტნიორს შორის ურთიერთობების გადატვირთვისთვის? “ ექსპერტთა კომენტარი #21, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ივნისი 2022.

© Georgian Institute of Politics, 2021
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
For more information, please visit
www.gip.ge